პ ა ს უ ხ ა დ

(განდეგილს და შიო მღვიმელს)
კარგებო, თქვენი ძახილი
ბარით შამესმა მთაშია,
ფეხის ფრჩხილებში გაჟონა
ჟრჟოლამ, დაკრულმა თავშია:
ძვირფასს მაუწყებთ ამბავსა,
ჩამოვარდნილსა ხალხშია:
"გაუმთელდაო წყლულები
არწივს, დაკოდილს მხარშია".
დაუფანტია ფრინველნი
მომაგრებულსა მკლავშია,
რომ დაჰსეოდენ უმსგავსნი
ღალატით დაჭრილს გზაშია.
"უჭირველივით ყაშყაშებს,
ცხადად ვცანითო ხმაშია."

უკეთესს ვინ რას მახარებს,
თქვენ გენაცვალეთ თქმაშია!
აგავსეთ ია-ვარდითა,
დაბერდით იმის თვლაშია!
სწყავდეთ და ვერ უდიოდეთ,
ოფლი გდიოდესთ წყვაშია!
ისე სცურავდეთ კეთილში,
ვით კოვზის პირი ზღვაშია!
ერთი ათასად გარდვიქე
მხედველობაში, ჯანშია:
ქორნის ფრთა-ბოლოდ ქცეულა
თეთრი, ნარევი თმაშია,
მოხუცი კაცი ჯეილად
ჩავუწერივარ ცაშია.
აწ გლოვა აღარ მჭირდება,
აღარც დამალვა სახლშია. .
ერთი რამე მაქვ სათქმელი,
იქნებ დაგიჯდეთ ჭკვაშია:
მკერდში არავინ დაგვიჭრას
გმირი, დაჭრილი მხარშია
და დღეს კი გამოჩენილი:
ჭკვა მოვიგროვოთ თავშია, "
არ გადამექცეს არმადა
სიცოცხლე მთა და ბარშია.

1915 წ.